აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

9 თებერვალი, 2018

დადგენილება №51(17/18)
პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ

პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები დამტკიცებულ იქნას თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი

1. პრეამბულა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოწოდებულია, უზრუნველყოს სწავლის მაღალი ხარისხი და კვლევითი საქმიანობის სანდო შედეგები, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო ასპარეზზე და ლეგიტიმურია ადგილობრივ კონტექსტში.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა კვლევით და სასწავლო საქმიანობაში ამ ხედვის განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. პლაგიატი და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სხვა ფორმები საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის იმიჯს და ხელს უშლის უნივერსიტეტის აკადემიური და პროფესიული მიზნების განხორციელებას.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი წარმოადგენს უნივერსიტეტის უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილს, რომელიც მიმართულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის სხვა ფორმების პრევენციისა და მართვისკენ, რაც ამცირებს სამართლებრივ რისკებს უნივერსიტეტისათვის.

2. მიზნები

აკადემიური კეთილსინდისიერების უზურნველყოფის კოდექსი განმარტავს:

1. ეთიკური ნორმების დაცვის მნიშვნელოვნებას უნივერსიტეტის მისიის განხორციელებისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ცოდნის კაპიტალის შექმნაში სხვათა წვლილის აღიარებისთვის;
2. აკადემიური არაკეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებს და მათზე რეაგირების მექანიზმებს;
3. სტუდენტებში საგანმანათლებლო სახის ღონისძიებების, როგორც სანქციის ფორმის, ისე მისი გატარების შესაძლებლობას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცებისათვის, ასევე მათი დარღვევის შემთხვევების შემდგომში თავიდან არიდებისათვის.

3. მოქმედების ფარგლები

კოდექსში მოცემული დებულებები ვრცელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებზე.

4. აკადემიური არაკეთილსინდისიერება

აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმები განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით და მოიცავს შემდეგს:

1. **პლაგიატი** - სხვისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაშრომის ან გამოგონების წყაროს, ანდა ავტორის სათანადოდ მითითების გარეშე გამოყენებას საკუთარი სახელით;
2. **თვითპლაგიატი** - საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენებას ორიგინალური წყაროს სათანადოდ მითითების გარეშე;
3. **ფალსიფიკაცია** - მონაცემების, ინფორმაციის ან ციტირების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში.

აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის **სხვა ფორმებია:**

- გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან;
- სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის, წარმოჩენა;
- სხვა სტუდენტისათვის/აკადემიური პერსონალისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;
- ინდივიდუალური ნამუშევრის ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული ნამუშევრის ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;
- სხვის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
- გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება;

5. სტუდენტებში აკადემიური არაკეთილსინდისიერების დარღვევის სახეები და მათზე რეაგირების ფორმები

5.1. არაფორმალური, საგანმანათლებლო ხასიათის სანქცია

თუ აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტი მიჩნეულია ნაკლებად მნიშვნელოვნად და წარმოადგენს სტუდენტის ცოდნის დეფიციტის შედეგს: შესაბამისი აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- განუმარტოს სტუდენტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები და მათი დაცვის მნიშვნელოვნება;
- კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში (აკადემიური წერის უნარების განვითარება) ან შეუფარდოს საგანმანათლებლო დანიშნულების არაფორმალური სანქცია - მაგალითად, სპეციალურ კურსზე დასწრება);
- განუმარტოს სტუდენტს, რომ კონსულტაციის შედეგების გათვალისწინება ანდა სპეციალურ კურსზე დასწრება სტუდენტის პირად პასუხისმგებლობას წარმოადგენს;
- სტუდენტის მიმართ არ იქნება გამოყენებული ფორმალური დამსჯელობითი ხასიათის სანქცია, თუმცა შესაბამისი აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ასახოს შედეგები აკადემიურ შეფასებაში.
- სტუდენტის სახელი არ დაფიქსირდება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევათა რეესტრში, თუმცა ინფორმაცია ფაქტის შესახებ მიეწოდება ფაკულტეტს.
- კონსულტაციის/სანქციისგან თავის არიდების შემთხვევაში სტუდენტს შეეფარდება შესაბამისი ფორმალური სანქცია.

5.2. ფორმალური სანქციები

აკადემიური არაკეთილსინდისიერების მნიშვნელოვანი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში დარღვევის სიმძიმე და შესაბამისი ფორმალური სანქციები განისაზღვრება დარღვევათა შემდეგი სამი კატეგორიის გათვალისწინებით:

5.2.1. კატეგორია 1
პირველი მცირე დარღვევა - უნებლიე პლაგიატი (უმნიშვნელო მასშტაბი)

თუ დარღვევები მცირეა, თავს იჩენს პირველად, ჩვეულებრივ ფიქსირდება სწავლის პირველ ან მეორე წელს და მიჩნეულია უნებლიეთ.

შესაბამისი აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

1. შეხვდეს სტუდენტს, განუმარტოს დარღვევის არსი და შესაბამისი შედეგები; დაიტოვოს სტუდენტის ნაშრომი;
2. მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, კვლავ წარმოადგინოს ნაშრომი გარკვეული პერიოდის განმავლობაში და შეაფასოს წარმოდგენილი ნაშრომი ქულით, რომელიც არ აღემატება მაქსიმალური ქულის 50%-ს;
3. წერილობით გააფრთხილოს სტუდენტი და შეიტანოს სტუდენტის სახელი აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევათა რეესტრში.

თუ სტუდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, ხელმეორედ არ წარმოადგინოს ნაშრომი, შესაბამისი ნაშრომი უნდა შეფასდეს 0 ქულით;

5.2.2. კატეგორია 2
განმეორებითი მცირე დარღვევა ან პირველი მნიშვნელოვანი დარღვევა - პლაგიატის იგნორირება (მცირე მასშტაბი)

ეს კატეგორია მოიცავს განმეორებითი მცირე დარღვევის ისეთ შემთხვევას, როდესაც დამრღვევი უარს ამბობს შეფარდებულ სანქციაზე, ხელმეორედ დარღვევებს, ასევე, ისეთ პირველად დარღვევებს, სადაც: დამრღვევი გააყალბებს ნაშრომს ან წარმოადგენს სხვათა ნაშრომს, ან უკანონოდ გაავრცელებს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

შესაბამისი აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

1. წერილობით გააფრთხილოს სტუდენტი და შეიტანოს სტუდენტის სახელი აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევათა რეესტრში;
2. შეუფარდოს სტუდენტს შესაბამისი სანქცია; სანქცია შეიძლება მოიცავდეს:
   - ნაშრომის 0 ქულით შეფასებას;
   - კურსის ფაგლებში ფაქტის გამოვლინებამდე მიღებული ყველა ქულის გაუქმებას.

5.2.3. კატეგორია 3

განმეორებითი დარღვევა ან მნიშნელოვანი დარღვევა - გამიზნული პლაგიატი (თვალსაჩინო მასშტაბი)

დარღვევის ამ ფორმაში ერთიანდება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის მნიშნელოვანი შემთხვევები, აგრეთვე აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის მესამე ან მეტი შემთხევა; სამაგისტრო საფეხურზე გამოვლენილი ყველა დარღვევა განეკუთვნება მესამე კატეგორიას.

შესაბამისი აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

1. წერილობით გააფრთხილოს სტუდენტი და შეიტანოს სტუდენტის სახელი აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევათა რეესტრში;
2. მიმართოს ფაკულტეტს განცხადებით შემდგომი რეაგირებისთვის.

სანქციის შეფარდება ხდება ფაკულტეტის მიერ შექმნილი კომისიის მიერ.

სანქცია შეიძლება მოიცავდეს:

- კურსის ფარგლებში სტუდენტის აკადემიური მიღწევის 0 ქულით შეფასებას;
- საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის 0 ქულით შეფასებას;
- სტუდენტის ხელშეკრულების შეწყვეტას.

6. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა აკადემიური პერსონალის მიერ

აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის შემთხვევაში სანქციის შეფარდება ხდება ფაკულტეტის მიერ შექმნილი კომისიის მიერ, პლაგიატის ფაქტის დაფიქსირების განცხადების საფუძველზე.

კომისიის დასკვნა წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

სანქცია შეიძლება მოიცავდეს:

- შენიშვნას
- საყვედურს;
- საყვედურს პირად საქმეში შეტანით;
- აკადემიური ნაშრომის უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებაზე უარის თქმას;
- აკადემიური სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმას;
- აკადემიური სტატუსის ჩამორთმევას;
- ხელშეკრულების შეწყვეტას.

7. აკადემიური კეთილსინდისიერების ფაქტის გამოვლენისა და მასზე რეაგირების ზოგადი მექანიზმები.

აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტზე განცხადების ჩამოყალიბება შეუძლია: სტუდენტს, აკადემიურ პერსონალს, სხვა გარე დაინტერესებულ მხარეს.

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადება შეიძლება დაიწეროს როგორც აკადემიური არაკეთილსინდისიერების დადგენის ფორმალური პროცესების ფარგლებში (კოლეგათა მიერ შეფასება, ანტიპლაგის ელ. პროგრამების გამოყენება) აღმოჩენილ საეჭვო ქმედებებზე, ისე ფორმალური პროცესების გარეთ აღმოჩენილ საეჭვო ქმედებებზე.

განცხადებას თან უნდა ახლდეს განმარტება არაკეთილსინდისიერების ფაქტის აღწერით და შესაბამისი მტკიცებულებებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ განცხადების შინაარსი და განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია.

განცხადების საფუძველზე შესაბამის ფაკულტეტზე იქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის შემთხვევას, ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას და უფარდებს სანქციას (კოდექსის შესაბამისად და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევათა რეესტრის გათვალისწინებით); კომისია კომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით როგორც უნივერსიტეტის პერსონალის (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი), ისე გარეშე პირებისგან.

კომისიის მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს მეცნიერის პრესტიჟს.

კომისია ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს, უნივერსიტეტის რექტორის (ან აკადემიური საბჭოს) წინაშე. კომისიის დასკვნის შესახებ ეცნობება დამრღვევ პირს, ასევე, საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს (კვლევის პროექტის სპონსორს, პროექტზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს და ა.შ.).

დამრღვევ პირს შესაძლებლობა ეძლევა საპასუხო სიტყვით წარსდგეს კომისიის წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტი აამოქმედებს ყველა მის ხელთ არსებულ მექანიზმს პირის რეპუტაციის აღსადგენად.